**ჟან მონეს კათედრა „ევროპის კავშირი მშვიდობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისათვის“**

**კავკასიის უნივერსიტეტი**

**თბილისი, საქართველო**
**9-10 ოქტომბერი, 2026**

**საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**
**„ევროკავშირის გაფართოება: პრაქტიკა და გამოწვევები“**

## კონფერენციის შესახებ

კავკასიის უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა და Erasmus+ ჟან მონეს კათედრა „ევროპის კავშირი მშვიდობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისათვის“ აცხადებს განაცხადების მიღებას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისათვის **„ევროკავშირის გაფართოება: პრაქტიკა და გამოწვევები“.**

თანამედროვე მსოფლიო ახალი რეალობის წინაშე დგას. ახალი გამოწვევები ახლავს თან ევროპული ინტეგრაციის პროცესს. კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი ჟან მონეს კათედრა „ევროპის კავშირი მშვიდობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისათვის“ (2024-2027), აძლიერებს სწავლებასა და კვლევებს ევროკავშირის შესახებ. სამეცნიერო კონფერენციის მიზანია ხელი შეუწყოს ინტერდისციპლინურ დიალოგს ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის ისტორიული გამოცდილების, თანამედროვე დინამიკისა და სამომავლო პერსპექტივების გაანალიზების გზით. კონფერენცია მკვლევართა, ექსპერტთა და

ახალგაზრდა მეცნიერების ჩართულობით შექმნის პლატფორმას კრიტიკული დისკუსიისათვის გაფართოების პროცესის სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების განზომილებების შესახებ.

## კონფერენციის თემატური მიმართულებები

- ევროკავშირის გაფართოების ისტორიული ტალღები და მათი ინსტიტუციური შედეგები
- კოპენჰაგენის კრიტერიუმების ტრანსფორმაცია და თანამედროვე ინტერპრეტაციები
- კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების რეფორმები
- გაფართოების გეოპოლიტიკური განზომილება და უსაფრთხოების პოლიტიკა
- ევროკავშირის შიდა ინსტიტუციური გამოწვევები გაფართოების კონტექსტში
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები და ევროპული პერსპექტივა
- ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გამოცდილება გაფართოების საკითხებში
- გაფართოების პოლიტიკის მომავალი და სტრატეგიული ხედვები

*კონფერენციის თემატური მიმართულება არ შემოიფარგლება მხოლოდ წარმოდგენილი თემატიკით. განხილვისათვის მიიღება ევროკავშირის გაფართოების სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებული ნაშრომები ნებისმიერი აკადემიური სფეროდან.*

## კონფერენციაში მონაწილეობა

კონფერენცია ჩატარდება 2026 წლის 9-10 ოქტომბერს კავკასიის უნივერსიტეტში, თბილისში (საქართველო) ჰიბრიდულ ფორმატში (პირისპირ, ონლაინ Zoom პლატფორმის მეშვეობით). კონფერენციის სამუშაო ენა - ქართული და ინგლისური

*<u>ნაშრომების მიღება და რეგისტრაცია</u>*

- კონფერენციაში მონაწილეობით დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ შეავსონ სარეგისტრაციო ფორმა და გამოაგზავნონ ნაშრომის აბსტრაქტთან ერთად (მაქსიმუმ 250-300 სიტყვა, PDF ფორმატში);
- ნაშრომი შეიძლება ჰყავდეს როგორც ერთი, ისე რამდენიმე ავტორი;
- კონფერენციაზე აბსტრაქტის დაშვების შემდეგ, სავალდებულოა ნაშრომის სრული ვერსიის წარმოდგენა (3,000–6,000 სიტყვა);

- სარეგისტრაციო ფორმა, აბსტრაქტი და სტატიის სრული ვერსია მიიღება ელ-ფოსტით შემდეგ მისამართზე: gchelidze@cu.edu.ge
- subject ველში მიეთითოს „ევროკავშირის გაფართოება: პრაქტიკა და გამოწვევები “.

## ნაშრომის მომზადება და გამოქვეყნება

კონფერენციაზე დაშვებული ნაშრომი გაივლის სამეცნიერო კომიტეტის რედაქტირებას და განთავსდება კონფერენციის შრომებში, რომელიც გამოქვეყნდება ელექტრონული ფორმით.

აბსტრაქტისა და ნაშრომის მომზადებისას გთხოვთ იხელმძღვანელოთ შესაბამისი ტექნიკური მოთხოვნებითა და ინსტრუქციებით.

## მნიშვნელოვანი თარიღები

- ✓ **აბსტრაქტის წარმოდგენის ბოლო ვადა** - 22 ივნისი, 2026
- ✓ **ნაშრომის კონფერენციაზე დაშვების შესახებ ინფორმაციის გაგზავნა** - 30 ივნისი, 2026
- ✓ **მოხსენების სრული ტექსტის წარმოდგენის ბოლო ვადა** – 5 სექტემბერი, 2026
- ✓ **კონფერენციის პროგრამის გამოქვეყნება** - 24 სექტემბერი, 2026
- ✓ **კონფერენციის ჩატარების თარიღი** - 9-10 ოქტომბერი, 2026

## ადგილმდებარეობა და საკონტაქტო ინფორმაცია

**კონფერენციის მასპინძელი:** კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

**ადგილმდებარეობა:** პაატა სააკაძის ქუჩა N1, თბილისი

**საკონტაქტო პირი:** გურანდა ჭელიძე - კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი, ჟან მონეს კათედრის „ევროპის კავშირი მშვიდობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისათვის“ პროფესორი.

**ელ-ფოსტა:** gchelidze@cu.edu.ge

## კავკასიის უნივერსიტეტის ვებგვერდი
https://cu.edu.ge/

## ჟან მონეს კათედრის EU-PPS ვებგვერდი:

https://cu.edu.ge/grant-projects/ongoing-projects/jean-monnet-chair-2024/eu-pps-grant-project

## ლოჯისტიკა და სასარგებლო ინფორმაცია მონაწილეთათვის:

- კონფერენციაში მონაწილეობა უფასოა. თუმცა, მონაწილეებმა თავად უნდა დაფარონ მგზავრობისა და განთავსების ხარჯები.
- კონფერენციის მსვლელობისას ყავის შესვენებისა და სადილის ხარჯს ფარავს პროექტი.
- კონფერენცია დასრულდება კულტურული ღონისძიებით.

## კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტი:

გურანდა ჭელიძე, კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი, ჟან მონეს კათედრის „ევროპის კავშირი მშვიდობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისათვის“ პროფესორი.

ბორის ლეჟავა, კავკასიის უნივერსიტეტი, ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში

დავით წიკლაური, კავკასიის უნივერსიტეტი, კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის დირექტორი

დავით ნატროშვილი, კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი

გივი ამირანაშვილი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი

თათია ჩოკორაია, კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური წერის ცენტრის ხელმძღვანელი

მაია გონაშვილი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ევროინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები“ აკადემიური ხელმძღვანელი

ჟაკ ვილროქსი, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი

რადუ კარპ, საჯარო სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერებების პროფესორი, ბუქარესტის უნივერსიტეტი

**კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:**

გურანდა ჭელიძე, კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი, ჟან მონეს კათედრის „ევროპის კავშირი მშვიდობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისათვის“ პროფესორი.

აკაკი კაპანაძე, კავკასიის უნივერსიტეტის პროექტების მართვის დეპარტამენტის დირექტორი

ნინო მახაური, კავკასიის უნივერსიტეტის კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის მენეჯერი

ნინო ხვლეური, კავკასიის უნივერისტეტის კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი

მერი ხვიჩია, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტური და ორგანიზაციული ღონისძიებების სამსახურის უფროსი

თამთა ბუთხუზი, კავკასიის უნივერსიტეტისმარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი

ირინა ნიკოლაიშვილი, კავკასიის უნივერსიტეტის შპს "კანტინერიის" მენეჯერი

შენგელი ჯიქია, კავკასიის უნივერსიტეტის ლოგისტიკის და უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორი

მაკა მესხია, კავკასიის უნივერსიტეტის მთავარი ბუღალტერი

ვახო ელბაქიძე, IT მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელი